საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

გარემოს დაცვა
და
ადამიანის უფლებები

თბილისი
2021

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დაცვა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერების გზით“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World – Protestant Development Service

გამოცემის ხელმძღვანელები: მერაბ ქართველიშვილი
მზია გოჩელაშვილი

ავტორი: ანა ბერიძე

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ყდის დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შინაარსი

1. შესავალი 4

2. ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა 6

2.1. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება 6

2.1.1. სახელმწიფოს პროაქტიული ვალდებულება 7

2.1.2. უსაფრთხო კლიმატი 9

2.1.3. ჯანსაღი და მდგრადად წარმოებული საკვები 13

2.1.4. სუფთა წყალსა და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებზე წვდომა 14

2.1.5. არამომწამვლელი სამუშაო, სასწავლო და სათამაშო გარემო 16

2.1.6. ჯანსაღი ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემა 18

2.2. სიცოცხლისა და ღირსეულად ცხოვრების უფლება 20

2.3. რელიგიური და კულტურული უფლებები 25

სამართლებრივი წყაროები 28

1. შესავალი

ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვითი საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული, განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც მსოფლიო უდიდესი გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგას. კლიმატის ცვლილება და მის შედეგად გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, ბიომრავალფეროვნების განადგურება, დაბინძურებული ჰაერი, მიწა და წყალი, ზოონოზური[1] დაავადებების გავრცელება და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემები უშუალოდ უქმნის საფრთხეს ადამიანს, მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსეულ არსებობას.[2]

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას კაცობრიობა თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის ცდილობდა და გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებას დიდი ისტორია აქვს, მსოფლიომ გარემოს დაცვის მნიშვნელობის აღიარება აქტიურად მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური და მეცნიერული განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა გარემოზე სიღრმისეული დაკვირვება და მეცნიერულ ფაქტებზე დაყრდნობით იმ უარყოფითი გავლენის შეფასება, რაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, შესაძლოა, ჰქონდეს დაბინძურებულ გარემოს, შემცირებულ ბიომრავალფეროვნებასა თუ ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას.[3]

შესაბამისად, დღესდღეობით, თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც უკვე არსებობს ძალიან ბევრი მეცნიერული მტკიცებულება, რომ ადამიანის საქმიანობითა თუ ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამოწვეული გარემოსდაცვითი პრობლემები ხშირად მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, მის ჯანმრთელობას და ხელს უშლის მას სხვა ძირითადი უფლებებით შეუზღუდავ სარგებლობაში, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება გარემოს დაცვა.

---

[1] *ინფექციური დაავადება, რომელიც გადადის ცხოველიდან ცხოველზე, ან ადამიანზე და პირიქით.*

[2] 'Joint Statement by UN human rights experts for World Environment Day', 05.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nvAHrY, ბოლო ნახვა: 27.08.2021; Elizabeth Fisher, Environmental Law: a Very Short Introduction (Oxford University Press 2017) ch. 1.

[3] Elizabeth Fisher, Environmental Law: a Very Short Introduction (Oxford University Press 2017) ch. 4.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება დღეს უკვე პირდაპირ არის აღიარებული სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციით, მათ შორის, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 29-ე მუხლითაც. ამ მუხლის მიხედვით:

„ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით“.

გარდა უშუალოდ ამ მუხლისა, ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და გარემოს დაცვის უფლებები ხშირად მოიაზრება სხვა უფლებებით დაცული სფეროს ქვეშ. მაგალითად, ეს უფლება, შესაძლოა, გამომდინარეობდეს სიცოცხლის, ღირსეულად ცხოვრების, ჯანმრთელობის, განვითარების, საკუთრების, კულტურული ან თუნდაც რელიგიური უფლებებიდან.[4] სწორედ ამ უფლებებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრებს გარემოს დაცვის უფლებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაც, რომლითაც ჯერჯერობით პირდაპირ არ არის აღიარებული ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.[5]

[4] UNEP, ‘Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment’ (Nairobi, June 2015) 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k4ZroU, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[5] Stuart Bell and others, Environmental Law (9th edn, Oxford University Press 2017) 79-83.

2. ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობებით, გარემოს დაცვის საკითხები, ხშირად, სხვადასხვა უფლებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრება. ეს უფლებები თავისი ხასიათით, შესაძლოა, იყოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები - სიცოცხლის, რელიგიისა და საკუთრების უფლებები - ან კულტურული და სოციალური უფლებები - ჯანმრთელობის, საკვებსა და წყალზე წვდომის ან კულტურული უფლებები.[6]

უშუალოდ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ეროვნული კანონმდებლობების დონეზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღეს უკვე აქტიურად მუშაობენ, რათა ეს უფლება საერთაშორისო დონეზეც პირდაპირ იყოს აღიარებული, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება.[7]

2.1. **ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება**

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ აღიარებს ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე. ეს უფლება, ერთი მხრივ, გულისხმობს ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, რაციონალურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები თანამედროვე და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით,[8] რაც მდგრადი განვითარების ამოსავალი პრინციპია.[9]

გაეროს სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებათა საკითხებზე, გარემოს დაცვის ჭრილში გამოყოფს რამდენიმე ძირითად ასპექტს, პირობას, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაკმაყოფილებული, რათა ადამიანმა შეძლოს ღირსეული არსებობა და უზრუნველყოფილი იყოს მისი კეთილდღეობა. ესენია:

---

[6] UNEP, 'Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment' (Nairobi, June 2015) 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k4ZroU, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[7] Special Rapporteur on human rights and the environment, 'About human rights and the environment', ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C9AKO6, ბოლო ნახვა: 27.08.2021. ს

[8] საქართველოს კონსტიტუცია, 29-ე მუხლი.

[9] World Commission on Environment and Development, Our Common Future (Oxford University Press 1986) para 27.

- სუფთა ჰაერი
- უსაფრთხო კლიმატი
- სუფთა წყალსა და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებზე წვდომა
- ჯანსაღი და მდგრადად ნაწარმოები საკვები
- ჯანსაღი სამუშაო, სასწავლო და სათამაშო გარემო
- ჯანსაღი ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემა.[10]

ეს ასპექტები, ერთი მხრივ, უშუალოდ უნდა მოიაზრებოდეს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ქვეშ და, ამასთანავე, შესაძლოა, სხვა ძირითადი უფლებებით დაცული სფეროს ქვეშაც იყოს გათვალისწინებული.

2.1.1. სუფთა ჰაერი

სუფთა ჰაერი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი წინაპირობაა და გარემოს დაცვის სფეროში არსებული ადრეული სამართლებრივი აქტებიც სწორედ ამ საკითხის მოგვარებას ეხებოდა.[11]

დღესდღეობით, სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, ყოველი 10 ადამიანიდან 9 ისეთ ადგილას ცხოვრობს, სადაც არსებული ჰაერის ხარისხი არ შეესაბამება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.[12] დაბინძურებული ჰაერი სხვადასხვა მძიმე დაავადების და ყოველწლიურად დაახლოებით 6.5 მილიონი ადამიანის ნაადრევი დაღუპვის მიზეზი ხდება.[13]

---

[10] 'Right to a healthy environment: good practices', Report of the Special Rapporteur on the issue of human rights obligations relating to the enjoyment of a safe, clean, healthy and sustainable environment, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XawYVG, ბოლო ნახვა: 27.08.2021/

[11] მაგალითად, როგორიც იყო Clean Air Act 1956, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა მიიღო მას შემდეგ, რაც 1952 წლის დეკემბერში „ლონდონის დიდმა სმოგმა", ჰაერის მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ, 12 000-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 100 000-ზე მეტმა ადამიანმა კი სასუნთქი გზების მნიშვნელოვანი დაზიანება მიიღო. წყარო: Friends of the Earth, 'The London smog and 1956 Clean Air Act', 26.02.2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E6tPY5, ბოლო ნახვა 27.08.2021.

[12] WHO, '9 out of 10 people worldwide breathe polluted air', 2.05.2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3z7HLgs, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[13] UN Environment Programme, 'Towards a Pollution-Free Planet: Background report', 2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XbbV5l, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

შესაბამისად, სახელმწიფოებს, რომლებიც სათანადოდ არ აქცევენ ყურადღებას ამ საკითხს, არ იღებენ შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებს და სათანადოდ არ აღასრულებენ დადგენილ ნორმებს პრაქტიკაში, შესაძლოა, ადამიანის უფლებების ხელყოფის საფუძვლით, პასუხისმგებლობა დაეკისროთ. კონკრეტული სათანადო ზომები, ამ კუთხით, შესაძლოა, მოიცავდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებას, ისეთი სტანდარტების დაწესებას, რომელსაც ესა თუ ის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს, რათა არ დააბინძუროს ჰაერი, ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემების, ამა თუ იმ საქმიანობის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, სტანდარტებისა თუ საკანონმდებლო ნორმების დამრღვევი პირებისთვის სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრებას, მიყენებული ზიანის გამოსწორების ან/და კომპენსირების სათანადო წესების დანერგვას, მათ სათანადო აღსრულებას და ა.შ.[14]

კლიმატის ცვლილების კონტექსტში, სახელმწიფოთა ვალდებულება, უზრუნველყონ სუფთა ჰაერი, შესაძლოა, მოიცავდეს სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ სუფთა ენერგიაზე გადასვლას, რაც ნიშნავს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას და ე.წ. ტრადიციული საწვავი პროდუქტების - ნავთობი, გაზი და სხვა - გამოყენების შემცირებას, ელექტრომანქანების პოპულარიზაციას, მწვანე სივრცეების განვითარებას და ა.შ.[15]

– **სასამართლო პრაქტიკა**

სუფთა ჰაერზე, ადამიანის უფლებების კუთხით, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა. ერთ-ერთი ახალი გადაწყვეტილება ამ კუთხით, შეეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, დანერგოს ქალაქში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა და ეფექტიანად აკონტროლოს ის, რათა თავიდან აირიდოს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.

კონკრეტულად კი, 2016 წელს, ბრიუსელში მცხოვრებმა ხუთმა პირმა, ClietnEarth-ის დახმარებით, რეგიონული მთავრობის წინააღმდეგ

[14] United Nations Environment Assembly of the United Nations Environment Programme, 'Preventing and reducing air pollution to improve air quality globally', 30.01.2018, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/en/UNEP/EA.3/Res.8, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[15] European Commission, 'Air Pollution and Climate Change', Science for Environment Policy, issue 24, 2010 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3llcf9X, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

საქმე აღძრა ბრიუსელის სასამართლოში.[16] მოსარჩელეები დაობ-დნენ, რომ ბრიუსელის რამდენიმე ძირითად გზაზე მთავრობა არ აკონ-ტროლებდა ჰაერის ხარისხს: ორ მთავარ გზაზე 2008-2014 წლებში გამორთული იყო და არ ფუნქციონირებდა ჰაერის ხარისხის მონიტო-რინგის სადგურები. შესაბამისად, ამ პერიოდში არ ფასდებოდა, თუ რამდენად საშიში იყო ადამიანის ჯანმრთელობისთვის ჰაერის და-ბინძურების ხარისხი კონკრეტულად ამ გზების მიმდებარე ტერიტო-რიაზე და ხელმისაწვდომი ინფორმაცია ასახავდა ზოგადად ქალაქში ჰაერის დაბინძურების ხარისხის საშუალო მაჩვენებელს.

მოსამართლემ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ამ საქმეზე რამდენიმე საკითხის განმარტების თხოვნით მიმართა. მა-რთლმსაჯულების ევროპული სასამართლოს წარდგენილი მოსაზრე-ბის მიხედვით, მოსახლეობას აქვს უფლება, აკონტროლოს ქალაქში ჰაერის მონიტორინგის მიმდინარეობა და შეუძლია მიმართოს სასა-მართლოს, თუ მიიჩნევს, რომ არსებული სისტემა არ არის ეფექტიანი და საფრთხე ექმნება მათ ჯანმრთელობას.

ბრიუსელის სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ ბრიუსელის რეგიონული მთავრობა არღვევდა ევროკავშირის კანონმდებლობას ჰაერის არასათანადო მონიტორინგის გამო, რითაც საფრთხეს უქმ-ნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას და, შესაბამისად, მას დაავალა ჰაერის მონიტორინგის სისტემის გამართვა გადაწყვეტილების მიღე-ბიდან 6 თვის ვადაში.

2.1.2. უსაფრთხო კლიმატი

ანთროპოგენური კლიმატის ცვლილება, რაც ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეულ კლიმატის ცვლილებას გულისხმობს,[17] თანამე-დროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა და, დღეს, ადამიანის უფლე-ბების დაცვის კუთხით ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევა.[18]

2015 წლის პარიზის ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები, მათ

[16] ClientEarth, 'ClientEarth and Brussels residents win five-year legal battle for clean air', 29.01.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ugog4Q, ბოლო ნახვა: 08.09.2021.

[17] Naomi Oreskes, 'The Scientific Consensus on Climate Change' (2004) 306 Science 1686.

[18] Emyr J. Parry, 'The Greatest Threat to Global Security: Climate Change Is Not Merely An Environmental Problem' (UN Chronicle), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3z4niJt, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

შორის, საქართველო, თავიანთი „ეროვნულად განსაზღვრული წვლილის“ შესაბამისად, იღებენ ვალდებულებას, შეარბილონ კლიმატის ცვლილება - შეამცირონ სათბური გაზების ატმოსფეროში გამოფრქვევები და გაატარონ ისეთი საადაპტაციო ღონისძიებები, რომლებიც ადამიანებს კლიმატის ცვლილების უკვე დამდგარი შედეგებისგან დაიცავს, მაგალითად, განავითარონ გვალვისა და წყალდიდობის საწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, დანერგონ ბუნებრივი კატასტროფების შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემები და ა.შ.[19]

კლიმატის ცვლილება დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის მთელ რიგ ძირითად უფლებებს. მაგალითისთვის, თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ ადამიანის სიცოცხლის უფლებას, დღეს გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების, არასრულფასოვანი კვებისა და დაავადებებისგან ყოველწლიურად უკვე დაახლოებით 400 000 ადამიანი იღუპება,[20] მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით კი, კლიმატის ცვლილების გამო, 2030-2050 წლებში, ყოველწლიურად დამატებით 250 000 ადამიანი დაიღუპება.[21]

კლიმატის ცვლილება უკვე შესამჩნევ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოზეც.[22] ის ზრდის ისეთი ბუნებრივი მოვლენების სიხშირეს, როგორებიც არის: გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, და, შესაბამისად, დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიცოცხლესა და განვითარებას.[23] კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად სექტორებს საქართველოსთვის წარმოადგენს სოფლისა და სატყეო მეურნეობები, ტურიზმი, ჯანდაცვა და კულტურული მემ-

[19] პარიზის ხელშეკრულება, 2015, მუხლი 2, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hsGydU, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[20] United Nations General Assembly, Analytical study on the relationship between climate change and the human right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health: Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (6 May 2016) UN Doc A/HRC/32/23, para 8, 4.

[21] World Health Organization, 'Quantitative risk assessment of the effects of climate change on selected causes of death, 2030s and 2050s' (2014) 1.

[22] EU4Climate, 'Georgia', ხელმისაწვდომია: https://eu4climate.eu/georgia/, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[23] Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change, 'National Climate Vulnerability Assessment: Georgia' (2014) ხელმისაწვდომია: https://climateforumeast.org/uploads/other/0/771.pdf, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

კვიდრეობა, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება ადამიანების ეკონომიკურ განვითარებას, მათ ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და კეთილდღეობას.[24]

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებებისა, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებას, მაგალითად, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია და პარიზის ხელშეკრულება, ეს საერთაშორისო აქტები, უშუალოდ არ აკისრებენ სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებებს. თუმცა აღიარებენ კლიმატის ცვლილების შესაძლო უარყოფით გავლენებს ეკოსისტემებზე, მათ მდგრადობასა და პროდუქტიულობაზე, ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე,[25] რაც, თავის მხრივ, უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან. შესაბამისად, კლიმატის ცვლილების კონტექსტში, ადამიანის უფლებათა კონვენციების, კონსტიტუციების საფუძველზე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა, შესაძლოა, მაინც დადგეს ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო იმ შემთხვევაში, თუ ისინი სათანადოდ არ შეასრულებენ კლიმატის ცვლილების კუთხით ნაკისრ ვალდებულებებს: არ დაიცავენ პირებს კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან და არ გაატარებენ ეფექტიან ზომებს კლიმატის ცვლილების შესარბილებლად, მის თავიდან ასაცილებლად.[26]

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების სამართალი შედარებით ახალია და ამ კუთხით ჯერჯერობით მწირია სასამართლო პრაქტიკაც, უკვე არსებობს მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლოებმა დაადგინეს სახელმწიფოების მხრიდან კლიმატის ცვლილების სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, და მათ სწორედ ადამიანის უფლებების სამართალზე დაყრდნობით დააკისრეს პასუხისმგებლობა.

---

[24] EU4Climate, 'Georgia', ხელმისაწვდომია: https://eu4climate.eu/georgia/, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[25] გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, 1992, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lhb23v, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[26] UNEP, 'Responding to Climate Change', ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3A9wptJ, ბოლო ნახვა: 27.07.2021; OHCHR, 'Understanding Human Rights and Climate Change' (2015) 7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CcjtnP, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

– **სასამართლო პრაქტიკა**

კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულების კუთხით, პირველი პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ საქმეში, ***Netherlands V Urgenda Foundation.***[27] ამ საქმეში სარჩელი შეტანილი იყო ნიდერლანდების მოსახლეობის სახელით. ისინი დაობდნენ, რომ ნიდერლანდები საკმარის ზომებს არ იღებდა თავისი სათბური გაზების ატმოსფეროში გაფრქვევების იმ ოდენობით შესამცირებლად, რა ოდენობითაც მან ეს ვალდებულება პარიზის ხელშეკრულების ქვეშ მის მიერვე წარდგენილი ეროვნულად განსაზღვრული წვლილით იკისრა. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში პირდაპირ განმარტა, რომ კლიმატის ცვლილება უშუალო საფრთხეა ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობისთვის და ამიტომ ნიდერლანდებს აქვს ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები ამ კონტექსტში. სასამართლომ, ნიდერლანდების სახელმწიფოს, მიღებული გადაწყვეტილებით, სათანადო ზომების მიღება და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის სიცოცხლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება დააკისრა.[28] სასამართლომ ცალსახად დააკისრა სახელმწიფოს, 2020 წლამდე, 1990 წლის დონესთან შედარებით, გაფრქვევები სულ მცირე 25%-ით შეემცირებინა.[29]

საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კუთხითაც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ლაჰორის უმაღლესმა სასამართლომ საქმეში, ***Ashgar Leghari V Federation of Pakistan.***[30] ამ საქმეში მოსარჩელე დაობდა, რომ პაკისტანმა სათანადოდ არ აღასრულა 2012 წელს მის მიერვე მიღებული კლიმატის ცვლილების ეროვნული პოლიტიკა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განხორციელების ჩარჩო დოკუმენტი, რაც ადამიანის ისეთი უფლებების დარღვევას იწვევდა, როგორიც არის წვდომა წყალზე, საკვებსა და ენერგოუსაფრთხოებაზე. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ პაკისტანში წყალდიდობებისა და გვალვების სიხშირის ზრდა, რაც პრობლემებს უქმნიდა ხალხს სა-

[27] *The State of Netherlands V Urgenda Foundation* [2019] ECLI:NL:HR:2019:2007

[28] *Netherlands V Urgenda Foundation,* 6.

[29] იქვე, პარა. 7.5.1.

[30] *Ashgar Leghari V Federation of Pakistan* [2015] W.P. No. 25501/2015.

კვებსა და წყალზე ხელმისაწვდომობის კუთხით, სწორედ კლიმატის ცვლილებას უკავშირდებოდა. შესაბამისად, მან განმარტა, რომ პაკისტანს ჰქონდა ვალდებულება, შეემუშავებინა და ეფექტიანად დაენერგა პრაქტიკაში კლიმატის ცვლილების ადაპტაციის გეგმა, რათა შეესრულებინა თავისი ვალდებულებები პაკისტანის კონსტიტუციის მე-9 და მე-14 მუხლების ქვეშ, ესე იგი, ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების უფლებები დაეცვა. მან პაკისტანს პირდაპირ დაავალა, მიეღო შესაბამისი ზომები და დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კუთხით.

2.1.3. ჯანსაღი და მდგრადად წარმოებული საკვები

საკვებზე წვდომის უფლება გარანტირებულია სხვადასხვა საერთაშორისო აქტით, სადაც ის სხვადასხვა ძირითადი უფლების, მათ შორის, ცხოვრების ადეკვატური პირობების უფლებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრება.[31] ამასთანავე, ეს უფლება ერთგვარ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სხვა უფლებებით სათანადო სარგებლობისთვის, მაგალითად, როგორებიც არის: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებები, უფლება წყალზე, თავშესაფარზე, განათლების უფლებასა და სხვ.[32] საკვებზე წვდომის უფლება დაცულად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ადამიანს, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, ფიზიკურად და ეკონომიკურად, დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელი მიუწვდება ადეკვატურ საკვებზე ან აქვს მისი შეძენის შესაძლებლობა.[33]

დღესდღეობით, იმ პირობებში, როდესაც გამუდმებით იზრდება ადამიანების ოდენობა დედამიწაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოთხოვნას საკვებზე, სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა, ხელი შეუწყონ ჯანსაღი საკვების წარმოებას მდგრადობის პრინციპის გათვალისწინებით. გარემოს დაცვის კონტექსტში, ეს, შესაძლოა, მაგალითად, გულისხმობდეს საკვების მოყვანისთვის განკუთვნილი მიწების, სარწყავად გამოყენებული წყლის, ჰაერის დაბინძურებისა-

[31] United Nations Human Rights Office of the High Commissioner, 'International Standards on the Right to Food', ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39hPlLn, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[32] United Nations Human Rights Office of the High Commissioner, 'OHCHR and the right to food', ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hrEjYh, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[33] UN Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment 12: The Right to Food, 1999, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/E/C.12/1999/5, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

გან დაცვას, სუფთა ენერგიის გამოყენებას, ისეთი საკანონმდებლო აქტების შემუშავებას, რომლებიც მწარმოებლებს დაუდგენს ერთგვარ სტანდარტებს, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს საკვების წარმოების პროცესი. ამასთანავე, რა თქმა უნდა, კლიმატის ცვლილებების პირობებში, სახელმწიფოთა ვალდებულებაა, ასევე, ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საკვების წარმოებას დაიცავს გვალვის, წყალდიდობის, სეტყვისა თუ სხვა არასახარბიელო მეტეოროლოგიური პირობებისაგან.

– **სასამართლო პრაქტიკა**

2001 წელს, ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულმა კომისიამ დაადგინა, რომ ნიგერიამ დაარღვია იქ მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის - ოგონის ხალხის - უფლება საკვებზე, ვინაიდან მან ხელი არ შეუშალა ნავთობკომპანიების მიერ მათი საკვები წყაროების განადგურებასა და ნავთობით დაბინძურებას (ოგონის ხალხის საქმე უფრო დეტალურად განხილული იქნება ქვემოთ, სიცოცხლის უფლების კონტექსტში).[34] მოცემულ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ ნიგერიას ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის ქვეშ ჰქონდა ვალდებულება, გამოესწორებინა არსებული მდგომარეობა: გაეუმჯობესებინა არსებული საკვები რესურსები და ჯანსაღი საკვები ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გაეხადა.

2.1.4. სუფთა წყალსა და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებზე წვდომა

ისევე, როგორც საკვებზე წვდომის უფლება, წყალზე წვდომის უფლებაც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, სხვა ძირითადი უფლებებით სარგებლობისთვის აუცილებელი წინაპირობაა.[35] სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით მილიარდობით ადამიანს ხელი შეზღუდულად მიუწვდება, ან საერთოდ არ მიუწვდება

[34] Fons Coomans, 'The Ogoni Case before The African Commission on Human and Peoples' Rights' (2003) International and Comparative Law Quarterly, 52(3), 749.

[35] UN Committee on Economic, Social and Cultural Rights, 'General Comment No. 15: The Right to Water', 2003, ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/pdfid/4538838d11.pdf, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

წყალზე და არ აქვს ადეკვატური სანიტარიული პირობები, რაც სხვადასხვა დაავადებისა და ნაადრევი გარდაცვალების მიზეზი ხდება.[36] საკვებზე წვდომის უფლების მსგავსად, წყალზე წვდომის უფლებაც სხვა ძირითადი უფლებებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრება, მაგალითისთვის, როგორიც არის უფლება ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებზე.[37] შესაბამისად, სახელმწიფოებს სწორედ ადამიანის სხვადასხვა ძირითადი უფლებების ქვეშ აქვთ ვალდებულება, ყველასთვის შესაძლებელი გახადონ წვდომა წყალსა და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებზე.

გარემოს დაცვის კუთხით, წყალზე წვდომის უფლება, შესაძლოა, გულისხმობდეს ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას, იმგვარი სტანდარტების დაწესებას, რომლებიც შესაძლებელს გახდის, სწორად მართოს წყლის რესურსი, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს ის, დაიცვას წყალი დაბინძურებისგან, მათ შორის, მესამე პირთა (მაგალითად, ქარხნები) მიერ მისი დაბინძურებისგან, შესაბამისად, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და მისი ჯანმრთელობა იმ დაავადებებისგან, რასაც დაბინძურებული წყალი ან არაადეკვატური სანიტარიული პირობები იწვევს.[38] ამასთანავე, თანამედროვე პირობებში, კლიმატის ცვლილების, მისგან გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებისა და მოსახლეობის ზრდის პირობებში, უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოებმა, მათ შორის, წყლის რესურსებით მდიდარმა სახელმწიფოებმა, დაზოგონ წყლის რესურსი და უზრუნველყონ მისი რაციონალური გამოყენება.[39]

– **სასამართლო პრაქტიკა**

2021 წლის იანვარში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ჰააგის სააპელაციო სასამართლომ საქმეში, *Four Nigerian Farmers and*

[36] UN, 'Human Rights to Water and Sanitation', ხელმისაწვდომია: https://www.unwater.org/water-facts/human-rights/ , ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[37] UN, 'The Right to Water: Fact Sheet No. 35', 4, https://bit.ly/3llq3kN, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[38] 'Right to a healthy environment: good practices', Report of the Special Rapporteur on the issue of human rights obligations relating to the enjoyment of a safe, clean, healthy and sustainable environment, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XawYVG, ბოლო ნახვა: 27.08.2021/

[39] UN, Sustainable Development Goals, SDG 6, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hrLaAZ, ბოლო ნახვა: 27.08.2019.

Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another.[40] ამ საქმეში ნიგერიელი ფერმერები დაობდნენ, რომ ნავთობკომპანია Shell-ის საქმიანობის, კონკრეტულად კი, დიდი ოდენობით ნავთობის დაღვრის შედეგად, დაბინძურდა მდინარე ნიგერის დელტა და მის მიმდებარედ არსებული ნიადაგი, რამაც ფერმერებს შეუზღუდა უფლება წყალზე, გამოუსადეგარი გახადა ის და, შესაბამისად, ზიანი მიადგათ ეკონომიკურადაც.

სარჩელი შეტანილი იყო მშობელი კომპანიის, Royal Dutch Shell-ისა და მისი ნიგერიული შვილობილი კომპანია Shell Petroleum Development Company-ის წინააღმდეგ. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებად მიიჩნევა, პასუხისმგებლობა დაეკისრა როგორც შვილობილ კომპანიას, რომლის საქმიანობის შედეგადაც უშუალოდ დაირღვა ნიგერიელი ფერმერების უფლებები, ასევე, მშობელ კომპანიას, რომელმაც არ შეასრულა ე.წ. ზრუნვის ვალდებულება თავისი შვილობილი კომპანიის მიერ დაზარალებული ადამიანების მიმართ. კონკრეტულად კი, შვილობილ კომპანიას დააკისრა ფერმერებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მშობელ კომპანიას კი დაავალა, რომ ორუმას მილსადენზე, ნავთობის დაღვრის ადგილზე, დაეყენებინა აღმომჩენი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შემდგომი დაღვრის თავიდან არიდება.

2.1.5. არამომწამვლელი სამუშაო, სასწავლო და სათამაშო გარემო

არამომწამვლელ გარემოში ცხოვრების უფლება გულისხმობს ისეთ გარემოში ცხოვრების უფლებას, რომელიც სუფთაა, არ არის დაბინძურებული სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებით და, შესაბამისად, უსაფრთხოა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, გარემოს მომწამვლელი ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი იღუპება.[41]

---

[40] *Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another* [2021] ECLI:NL:GHDHA:2021:132 (*Oruma*), ECLI:NL:GHDHA:2021:133 (Goi) and ECLI:NL:GHDHA:2021:134 (*Ikot Ada Udo*).

[41] *The Lancet* Commission, 'The Lancet Commission on pollution and health', 19.10.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tzNdrs, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

დღესდღეობით, გარემოს მომწამვლელი ნივთიერებებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, შექმნილია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც კონკრეტულ ვალდებულებებს აწესებენ სახელმწიფოთათვის, რათა მათ თავიდან აირიდონ ამგვარი ნივთიერებების გარემოში მოხვედრა და დაიცვან ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ, როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ, ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ და სხვ.[42] აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყანათა შორის ამ კონვენციების ხელმომწერი მხარეა საქართველოც და, შედეგად, ამ კონვენციებით გათვალისწინებული მთელი რიგი ვალდებულებები მასზეც ვრცელდება.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არის გარანტირებული და, ამასთანავე, საქართველოს ნაკისრი აქვს მთელი რიგი საერთაშორისო ვალდებულებები, მომწამვლელი ნივთიერებებისგან პირთა დაცვა მისი უშუალო ვალდებულებაა და მისი დარღვევის, არასათანადო პირობების შექმნის, კანონებისა და რეგულაციების არასათანადო დანერგვისა და აღსრულების შემთხვევაში, ადამიანის გარემოსდაცვითი ან/და სხვა ძირითად უფლებათა დარღვევის გამო, მას, შესაძლოა, დაეკისროს პასუხისმგებლობა.

– **სასამართლო პრაქტიკა**

საქმეში, *Băcilă V Romania,* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების დარღვევა დაადგინა.[43] ამ საქმეში მო-

[42] 'Right to a healthy environment: good practices', Report of the Special Rapporteur on the issue of human rights obligations relating to the enjoyment of a safe, clean, healthy and sustainable environment, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XawYVG, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[43] *Băcilă v. Romania,* 30 March 2010, no. 19234/04.

სარჩელე დაობდა, რომ ფერადი ლითონების მწარმოებელი ქარხანა აბინძურებდა მის საცხოვრებელ გარემოს, რაც აზიანებდა მის ჯანმრთელობას; ადგილობრივი ხელისუფლება კი არ იღებდა სათანადო ზომებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ ჩატარებული ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მძიმე მეტალები იყო ქალაქის წყლის სისტემებში, ჰაერში, მიწასა და მცენარეულ საფარში. მათი შემცველობა 20-ჯერ მეტი იყო ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე, ხოლო ამ ქალაქში დაავადების რიცხვი, კონკრეტულად კი, რესპირატორული დაავადებების რიცხვი, შვიდჯერ მეტი იყო, ვიდრე დანარჩენ ქვეყანაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან მან ვერ შეძლო, ეპოვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, ეკონომიკური განვითარების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესებს შორის, რომლის ქვეშაც განიხილავს და მოიაზრებს ხშირად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე.

2.1.6. ჯანსაღი ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემა

ადამიანის არსებობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბუნებასა და ბიომრავალფეროვნებაზე, ვინაიდან სწორედ მისგან იღებს ადამიანი იმ მომსახურებებს, რაც მისი სიცოცხლისათვის აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ადამიანის არარაციონალური ეკონომიკური საქმიანობისა და კლიმატის ცვლილების პირობებში დიდი სისწრაფით ნადგურდება ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი გარემო, უდიდესი საფრთხე ექმნება ადამიანსა და მის არსებობას, ვინაიდან ეს პროცესი უშუალოდ ქმნის წყალსა და საკვებზე ხელმისაწვდომობის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და სხვ.[44]

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დასაცავად, შექმნილია არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგალითად, როგორებიც არის: ბიოლოგიური მრავალფეროვნე-

[44] UN Sustainable Development Goals, SDG 15, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hsoLmY, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

ბის შესახებ კონვენცია, კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ კონვენციათა ხელმომწერი მხარეა და ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების კუთხით, სხვადასხვა ვალდებულების შესრულება ეკისრება. სახელმწიფოს ამგვარი ვალდებულებები, ასევე გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით განსაზღვრული გარემოს დაცვის უფლებიდანაც.

– **სასამართლო პრაქტიკა**

ბუნებაზე ზრუნვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ძირითადი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვა და მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, მისი დაცვის ვალდებულებები სახელმწიფოებს სწორედ ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ეკისრებათ. თუმცა, დღესდღეობით სასამართლო პრაქტიკა, ასევე იცნობს პრეცედენტებს, როდესაც ბუნება თავადვე გახდა უფლებების სუბიექტი.

ამ კუთხით, ერთ-ერთი გამორჩეული გადაწყვეტილება კოლუმბიის უზენაესმა სასამართლომ მიიღო საქმეში, ***Future Generations v. Ministry of the Environment and Others.***[45] სასამართლოში სარჩელი 25-მა, 7-დან 26 წლამდე ახალგაზრდამ შეიტანა, რომლებიც თავიანთი და მომავალი თაობების სახელით დაობდნენ, რომ კოლუმბიაში ამაზონის ტყის გაჩეხა, კლიმატის ცვლილების კონტექსტის გათვალისწინებით, უშუალოდ არღვევდა მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების, საკვებსა და წყალზე ხელმისაწვდომობის უფლებებს.

სასამართლომ ამ საქმეში მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება და ამაზონის ტყე უფლებების სუბიექტად აღიარა. კონკრეტულად კი, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეების პოზიცია და გადაწყვეტილებით აღიარა, რომ:

- ამაზონის ტყის გაჩეხა მყისიერ და სერიოზულ საფრთხეს უქმნის კოლუმბიის მოსახლეობას, მათ შორის, მომავალ თაობებს. გაჩეხის შედეგად ატმოსფეროში გამოიფრქვევა ნახშირორჟანგის უკო-

[45] *Future Generations v. Ministry of the Environment and Others,* STC4360-2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o1XzzJ, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

ნტროლო რაოდენობა, რაც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებას, ეკოსისტემების ფრაგმენტაციასა და გარდაქმნას და ნეგატიურ გავლენას ახდენს წყლის რესურსზე; შესაბამისად, გაჩეხა იწვევს გარემოს ისეთ მნიშვნელოვან დაზიანებას, რას საფრთხეს უქმნის ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლესა და მათ სხვა ძირითად უფლებებს

- კოლუმბიელებს ხელი ეშლებათ თავიანთი ძირითადი უფლებებით სარგებლობაში, სულ უფრო და უფრო შეზღუდული ხდება წყლის რესურსი, უარესდება ჰაერის ხარისხი, მათ ხელი ეშლებათ ჯანსაღი გარემოთი სარგებლობაში და მცირდება მათი მოლოდინები ღირსეულ ცხოვრებაზე
- ძირითადი უფლებების დაცვა გულისხმობს არა მხოლოდ უკვე არსებული, არამედ მომავალი თაობების უფლებების დაცვასაც, ვინაიდან ისინი იმსახურებენ სარგებლობდნენ იმავე გარემოთი, რითაც ახლანდელი თაობები სარგებლობენ
- თუ დღეს რესურსების მოხმარება არ იქნება სამართლიანი და გონივრული, ადამიანთა მოდგმას მომავალში მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება, ვინაიდან მას არ ექნება წვდომა სიცოცხლისთვის აუცილებელ რესურსებზე.

ამ მსჯელობის გათვალისწინებით, კოლუმბიის უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ ამაზონის ტყის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია ადამიანის კეთილდღეობისთვის და დაადგინა, რომ კოლუმბიას აქვს მისი მოვლის, კონსერვაციის, შენარჩუნებისა და აღდგენის ვალდებულება. მან დაავალა კოლუმბიის მთავრობას, რომ შეექმნა თაობათაშორისი პაქტი კოლუმბიური ამაზონის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომლის ფარგლებშიც მთავრობა, დაინტერესებული პირები, დაზარალებული საზოგადოება, მეცნიერები, გარემოსდაცვითი და სხვა ორგანიზაციები ერთად იმუშავებდნენ ამაზონის ტყის შენარჩუნებისთვის.

2.2. სიცოცხლისა და ღირსეულად ცხოვრების უფლება

სიცოცხლის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით. ამ მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლება ერთ-ერთი ის ძირითადი უფლებაა, რომელიც ადამიანის მიერ მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით სარგებლობისთვის აუცილებელ წინაპი-

რობას წარმოადგენს.[46] მნიშვნელოვანია, განიმარტოს, რომ ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით არის გარანტირებული. ამ უფლებებს შორის კავშირი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრება როგორც ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, ისე მისი ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფაც. ამ ვალდებულებების შინაარსი სიღრმისეულად არის განმარტებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“[47] ქვეშ, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც მისი ხელმომწერი მხარისთვის.[48] კონკრეტულად კი, ამ პაქტის ქვეშ სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება განიმარტება არა ვიწროდ, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ადამიანი მესამე პირთა მიერ სიცოცხლის ხელყოფისაგან,[49] არამედ ფართოდ, როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის ღირსეულად ცხოვრებაც.[50] ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოთა მხრიდან ადამიანის იმ ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც აუცილებელია სიცოცხლისთვის, მაგალითად, როგორიც არის: წვდომა საკვებზე, წყალსა ან თავშესაფარზე.[51] ამგვარი მიდგომა - სიცოცხლისა და ღირსეულად ცხოვრების უფლებების ერთმანეთთან გადაჯაჭვა - საშუალებას იძლევა, რომ სიცოცხლის უფლების ქვეშ სახელმწიფოს არა მხოლოდ ადამიანის სიკვდილისგან დაცვა, არამედ მისი ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაც ეკისრებოდეს.

შესაბამისად, გარემოსდაცვითი პრობლემები, რომლებიც უშუალოდ უქმნის საფრთხეს ამგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სწორედ ამ უფლებების ქვეშ განიხილება. ამიტომ სახელმწიფოს შე-

---

[46] ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი*: თავი მე-2* (შპს ‘პეტიტი’, 2013) 72.

[47] მუხლი 6 (1), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966.

[48] United Nations Human Rights Committee, General comment No. 36 (2018) on article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the right to life (30 October 2018) UN Doc CCPR/C/GC/36, para 2.

[49] იქვე, პარა 3.

[50] იქვე.

[51] Elizabeth Wicks, ‘The Meaning of ‘Life’: Dignity and the Right to Life in International Human Rights Treaties’ (2012) 12 Human Rights Law Review 199, ch 5.

საძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა სიცოცხლისა და ღირსეულად ცხოვრების უფლებების დარღვევისთვის იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ის არ იღებს სათანადო ზომებს ამ გარემოსდაცვითი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ან მოსაგვარებლად.

– **სასამართლო პრაქტიკა**

ადამიანის სიცოცხლის, სხვა მასთან დაკავშირებული ძირითადი უფლებებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების მჭიდრო კავშირი კარგად ჩანს ოგონის მკვიდრი მოსახლეობის მძიმე გამოცდილების მაგალითზე.[52]

ოგონის ხალხი ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობაა. ეს ტერიტორიები და მდინარე ნიგერის დელტა მდიდარია ბუნებრივი რესურსით. ოგონის ხალხისთვის იქ არსებული მიწები და წყალი საუკუნეების განმავლობაში საარსებო წყარო იყო და მათ, ასევე, ისინი იყენებდნენ თავიანთი კულტურული და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესაბამისად საცხოვრებლად.

ნავთობკომპანია „შელმა“ 1950-იან წლებში ამ ტერიტორიებიდან ნავთობის მოპოვება წამოიწყო და ამ პროცესში ის აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო ნავთობკომპანიებთან. ეს პროცესი სრულად უკონტროლო იყო გარემოსდაცვითი კუთხით: არაერთხელ დაიღვარა დიდი ოდენობით ნავთობი, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია. ამგვარმა პრაქტიკამ მნიშვნელოვნად დააბინძურა ნიადაგი, წყალი და ჰაერი, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ოგონის ხალხის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ოგონის ხალხი წლების განმავლობაში მოითხოვდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც 1990-იან წლებში ოგონის ხალხის გადარჩენის მოძრაობად გარდაიქმნა. ისინი აქტიურად იბრძოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად, რასაც ნიგერიის მთავრობა ძალადობრივი მეთოდებით პასუხობდა: ნიგერიული ჯარები ხშირად თავს ესხმოდნენ ოგონის ხალხის სოფლებს და აქტიურად მიმდინარეობდა მათი დაშინება. 1993 წლიდან დაახლოებით 4000 ადამიანი შეეწირა ამ პროცესს, რომელთა შორის იყვნენ, ასევე, ოგონის ხალხის გადარჩენის მოძრაობის მეთაურებიც.

[52] Fons Coomans, ‘The Ogoni Case before The African Commission on Human and Peoples’ Rights’ (2003) International and Comparative Law Quarterly, 52(3), 749-760.

1996 წელს ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ოგონის ხალხის უფლებების დარღვევის ფაქტების გამო სარჩელი (ე.წ. კომუნიკაცია) შეიტანა ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულ კომისიაში. კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი და დაადგინა ადამიანის უფლებების არაერთი დარღვევა.

კონკრეტულად, კომისიამ დაადგინა, რომ ნიგერიის მთავრობამ, სხვა უფლებებთან ერთად, დაარღვია ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-4, (სიცოცხლის უფლება), მე-14 (საკუთრების უფლება), მე-16 (ჯანმრთელობის უფლება), მე-18(1) (ოჯახის უფლებები), 24-ე (განვითარებისთვის ხელსაყრელ, დამაკმაყოფილებელ გარემოზე უფლება) მუხლები.

- **ჯანმრთელობისა და დამაკმაყოფილებელ გარემოში ცხოვრების უფლებები -** გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ნიგერიის მთავრობამ დაარღვია როგორც ჯანმრთელობის უფლება, ასევე, დამაკმაყოფილებელ გარემოზე უფლება, რომელიც თავის თავში გულისხმობს სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას. კომისიამ განმარტა, რომ სწორედ ამ ორი უფლების ქვეშ ნიგერიის მთავრობა ვალდებული იყო, მიეღო ზომები, რათა თავიდან აერიდებინა გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური დეგრადაცია, რაც უშუალოდ უზღუდავდა ოგონის ხალხს უფლებას სუფთა წყალზე, ჰაერსა და მიწაზე. კომისიამ დაადგინა, რომ ნიგერიის მთავრობამ არ ჩაატარა კვლევები, თუ რა შესაძლო გავლენა ექნებოდა ნავთობის მოპოვებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე და ამგვარი კვლევების წარდგენა მას არც კომპანიებისთვის მოუთხოვია. ვალდებულებების შესრულების ნაცვლად, მთავრობა თავადვე იყო ჩართული გარემოს დაბინძურებაში და სამართლებრივი თუ შეიარაღებული ძალებით ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ნავთობკომპანიებს საქმიანობაში. ამასთანავე, მთავრობა არ ამხელდა ინფორმაციას გარემოს დაბინძურების შესახებ და ამით კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნიდა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

- ამასთანავე, კომისიამ სასმელ წყალზე, ელექტროენერგიასა და ელემენტარულ ჯანდაცვაზე წვდომის უფლებები ჯანმრთელობის უფლებით დაცული სფეროს ქვეშ მოიაზრა და ამ ნაწილშიც დაადგინა მე-16 მუხლის დარღვევა.

- **საკვებზე უფლება -** კომისიამ საკვებზე უფლება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარების უფლებების ქვეშ მოიაზრა და განიხილა. მან დაადგინა, რომ საკვებზე წვდომა ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებელი წინაპირობაა და ის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერ გარემოებებში. ამ უფლების დაცვა გულისხმობს, რომ სახელმწიფომ თავიდან უნდა აირიდოს საკვები რესურსების განადგურება და დაბინძურება, უფლება არ მისცეს კერძო პირებს, გაანადგურონ და დააბინძურონ საკვები რესურსები და მთავრობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ხალხს, საკუთარი თავის გამოკვებაში. კომისიამ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ნიგერიის მთავრობამ სამივე სახის ვალდებულება დაარღვია.

- **თავშესაფარზე უფლება -** თავშესაფარზე უფლებას კომისია საკუთრების, ჯანმრთელობისა და ოჯახის უფლებების ქვეშ მოიაზრებს. ეს უფლება ნიგერიის მთავრობას აკისრებდა ვალდებულებას, არ გაენადგურებინა თავისი მოქალაქეების სახლები და ხელი არ შეეშალა მათი მცდელობებისთვის, აღედგინათ თავიანთი სახლები. მთავრობას ეს უფლება, ასევე უნდა დაეცვა სხვა პირთა მიერ ხელყოფისაგან, ამ შემთხვევაში, ნავთობკომპანიებისგან. კომისიამ დაადგინა, რომ ნიგერიის მთავრობას დარღვეული ჰქონდა ორივე მათგანი. მან ასევე განმარტა, რომ თავშესაფარზე უფლება, ასევე გულისხმობდა ოგონის ხალხის უფლებას, იძულებითი წესით, ყოველგვარი სამართლებრივი დაცვის მექანიზმის გარეშე, გაესახლებინათ თავიანთი სახლებიდან და ტერიტორიებიდან.

კომისიამ ნიგერიის მთავრობას მოუწოდა, რომ სრულად და ეფექტიანად დაეცვა ოგონის ხალხის საცხოვრებელი გარემო, მათი ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამ მიზნით, მან მოუწოდა მთავრობას, შეეწყვიტა მათზე თავდასხმები და ძალადობა, სათანადოდ გამოეძიებინა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და სათანადოდ დაესაჯა ნიგერიის თავდაცვის ძალებისა და ნიგერიის ეროვნული ნავთობკომპანიის თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ოგონის ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე. მან ასევე განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს სათანადო კომპენსაცია უნდა გადაეხადა დაზარალებულებისთვის, მათ შორის, უნდა უზრუნველეყო მათი განსახლება, გაეწმინდა დაბინძურებული მიწა და მდინარეები და სხვ.

2.3. რელიგიური და კულტურული უფლებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით განმტკიცებულია ადამიანის რწმენისა და აღმსარებლობის უფლებები. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, ყველა ადამიანს აქვს თავისი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება.

ხშირად, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, ბუნებრივი რესურსების მოპოვება და გამოყენება უშუალოდ აყენებს ზიანს ადამიანის რელიგიურ და კულტურულ უფლებებს. მაგალითისთვის, იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის ბუნებრივი რესურსი ისეთი ადგილიდან მოიპოვება, რომელიც კონკრეტულ პირთა წრისთვის ე.წ. წმინდა ადგილად მიიჩნევა, თავს იჩენს კონფლიქტი საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებსა და კონკრეტული ადამიანის, პირთა ჯგუფის რელიგიურ უფლებებს შორის.

რელიგიური უფლებების გარდა, კონკრეტულ პირებს ამა თუ იმ ტერიტორიის მიმართ, შესაძლოა, ჰქონდეთ ერთგვარი კულტურული ბმა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული ადგილი მათ თავიანთი კულტურის შესაბამისად ცხოვრებისთვის სჭირდებათ.[53] ამ კონტექსტში, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მსოფლიოში ე.წ. მკვიდრი მოსახლეობის კულტურული უფლებები. მკვიდრ მოსახლეობას საზოგადოების სხვა წევრებისგან განსხვავებული, უხსოვარი დროიდან არსებული ცხოვრების წესი და კულტურა გააჩნიათ, რაც ძირითადად სწორედ კონკრეტულ მიწასთან არის დაკავშირებული.[54] შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მკვიდრ მოსახლეობას ამ კონკრეტული მიწების დატოვება უწევს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის თუ ბუნებრივი რესურსების მოპოვების მიზეზით, ხშირად ირღვევა მათი კულტურული უფლებები - უფლებაში ჩარევა გაუმართლებელი და არაპროპორციულია, ძალადობრივი ხასიათისაა და, ზოგ შემთხვევაში, ადამიანების მკვლელობასა და მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაში გადაიზრდება ხოლმე.

გარდა უშუალოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვების პროცესისა, ადამიანის რელიგიური და კულტურული უფლებები, შესაძლოა, სხვა

---

[53] UN General Assembly, 'Field of cultural rights', 10.08.2020, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/A/75/298, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[54] UNEP, 'Indigenous peoples and the nature they protect', ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Xcx1R0, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

გარემოსდაცვითი პრობლემების არსებობის პირობებშიც დაირღვეს. მაგალითისთვის, დღესდღეობით კლიმატის ცვლილების პირობებში, მომატებული ბუნებრივი კატასტროფებისა და ზღვის დონის მატების შედეგად ხშირად ზიანდება ტერიტორიები და ნაგებობები, რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფის კონკრეტულ რელიგიურ მრწამსს ან კულტურას მჭიდროდ უკავშირდება. დღესდღეობით, ყველაზე თვალსაჩინო ამ კუთხით კუნძულოვანი სახელმწიფოების, ზღვასთან ახლოს მდებარე ტერიტორიების პრობლემებია, სადაც ზღვის დონის მატების გამო ხშირად ირეცხება და იტბორება ისეთი ადგილები, ზღვის ნაპირები, რომლებსაც იქ მცხოვრები მოსახლეობა წმინდა ადგილად მიიჩნევს, წინაპრებს კრძალავს ან თავიანთი ტრადიციული დღესასწაულების აღსანიშნავად იყენებს.[55] ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი, სადაც უკვე შეიმჩნევა კლიმატის ცვლილების გავლენა, რაც მომატებულ ბუნებრივ კატასტროფებში - გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი - გამოიხატება და, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას როგორც ადამიანის სიცოცხლეს და დააზიანოს მისი ეკონომიკური ინტერესები, ასევე, გამოიწვიოს მისთვის მნიშვნელოვანი რელიგიური თუ კულტურული დანიშნულების ადგილების დაზიანება და განადგურება. შესაბამისად, ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ყველა ზომა მიიღოს კლიმატის ცვლილების შესარბილებლად და თავიდან ასაცილებლად და სათანადოდ დაიცვას ადამიანის უფლებები ამ ჭრილში.

– **სასამართლო პრაქტიკა**

ამ კუთხით, საინტერესოა ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, ***African Commission on Human and Peoples' Rights v. Republic of Kenya.***[56] ამ საქმეში, სხვა უფლებების დარღვევასთან ერთად, მოსარჩელე დაობდა, რომ დაირღვა ოგიეკების მკვიდრი მოსახლეობის რელიგიური უფლებები ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-8 მუხლის ქვეშ.

ოგიეკები კენიაში, მაუს ტყეში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობაა.

[55] UN General Assembly, 'Field of cultural rights', 10.08.2020, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/A/75/298, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

[56] African Commission on Human and Peoples' Rights v. Republic of Kenya, ACtHPR, Application No. 006/2012 (2017).

2009 წელს კენიის სატყეო სამსახურმა გამოსცა განსახლების შესახებ ცნობა, რომლის მიხედვითაც ოგიეკებს უნდა დაეტოვებინათ მაუს ტყე, რომელიც ისტორიულად მათი საცხოვრებელი, საარსებო გარემოა. მიზეზად სახელდებოდა ის, რომ ტყე სახელმწიფო საკუთრება იყო, დაცული ტერიტორიის სტატუსი ჰქონდა და ოგიეკების იქ ცხოვრება აზიანებდა.

სხვა მთელი რიგი უფლებების დარღვევასთან ერთად, სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ ამგვარი გამოსახლებით ირღვეოდა ოგიეკების რელიგიური უფლებები. კონკრეტულად კი, სასამართლომ განმარტა, რომ მკვიდრ მოსახლეობას თავისი რელიგიური რიტუალების შესასრულებლად და რელიგიური წესის შესაბამისად საცხოვრებლად ესაჭიროება კონკრეტული მიწა და ბუნებრივი გარემო, რომელთანაც მას მჭიდრო ისტორიული კავშირი აქვს. ოგიეკებისთვის მაუს ტყე სწორედ ამგვარი, სულიერ სახლი იყო - ადგილი, სადაც თავიანთი ტრადიციების შესაბამისად კრძალავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, სადაც იზრდება გარკვეული ხეები, რომლებზეც ისინი ლოცულობენ, სადაც მდებარეობს მათი წმინდა ადგილები და ა.შ. გამოსახლების შემთხვევაში, ოგიეკები კარგავდნენ თავიანთი რელიგიის შესაბამისად თავისუფლად ცხოვრების შესაძლებლობას. შესაბამისად, აფრიკულმა სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მხრიდან ოგიეკების რელიგიური უფლებების ხელყოფა.

სამართლებრივი წყაროები

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია

ადამიანის უფლებათა დოკუმენტები

ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, 1992

პარიზის ხელშეკრულება, 2015

სასამართლო გადაწყვეტილებები

Băcilă v. Romania, 30 March 2010, no. 19234/04

Communication 155/96: Social and Economic Rights Action Center (SERAC) and Center for Economic and Social Rights (CESR) / Nigeria (Ogoni Case)

Four Nigerian Farmers and Stichting Milieudefensie v Royal Dutch Shell plc and another [2021] ECLI:NL:GHDHA:2021:132 (*Oruma*), ECLI:NL:GHDHA:2021:133 (Goi) and ECLI:NL:GHDHA:2021:134 (*Ikot Ada Udo*)

Future Generations v. Ministry of the Environment and Others, STC4360-2018

The State of Netherlands V Urgenda Foundation [2019] ECLI:NL:HR:2019:2007

The State of Netherlands V Urgenda Foundation [2019] ECLI:NL:HR:2019:2007

ბიბლიოგრაფია

ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი*: თავი მე-2* (შპს „პეტიტი“, 2013) 72.

‘Joint Statement by UN human rights experts for World Environment Day’, 05.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nvAHrY, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

‘Right to a healthy environment: good practices’, Report of the Special Rapporteur on the issue of human rights obligations relating to the enjoyment of a safe, clean, healthy and sustainable environment, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XawYVG, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

Climate Forum East (CFE) and Georgia National Network on Climate Change, ‘National Climate Vulnerability Assessment: Georgia’ (2014) ხელმისაწვდომია: https://climateforumeast.org/uploads/other/0/771.pdf, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

Elizabeth Fisher, Environmental Law: a Very Short Introduction (Oxford University Press 2017) ch. 4.

Elizabeth Wicks, ‘The Meaning of ‘Life’: Dignity and the Right to Life in International Human Rights Treaties’ (2012) 12 Human Rights Law Review 199, ch 5.UN General Assembly, ‘Field of cultural rights’, 10.08.2020, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/A/75/298, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

Emyr J. Parry, ‘The Greatest Threat to Global Security: Climate Change Is Not Merely An Environmental Problem’ (UN Chronicle), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3z4niJt, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

EU4Climate, ‘Georgia’, ხელმისაწვდომია: https://eu4climate.eu/georgia/, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

European Commission, ‘Air Pollution and Climate Change’, Science for Environment Policy, issue 24, 2010 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3llcf9X, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

Friends of the Earth, ‘The London smog and 1956 Clean Air Act’, 26.02.2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E6tPY5, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

Naomi Oreskes, ‘The Scientific Consensus on Climate Change’ (2004) 306 Science 1686.

Special Rapporteur on human rights and the environment, ‘About human rights and the environment’, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C9AKO6, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

Stuart Bell and others, Environmental Law (9th edn, Oxford University Press 2017) 79-83.

The Lancet Commission, ‘The Lancet Commission on pollution and health’, 19.10.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tzNdrs, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN Committee on Economic, Social and Cultural Rights, ‘General Comment No. 15: The Right to Water’, 2003, ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/pdfid/4538838d11.pdf, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment 12: The Right to Food, 1999, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/E/C.12/1999/5, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN Environment Programme, ‘Towards a Pollution-Free Planet: Background report’, 2017, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XbbV5l, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN General Assembly, ‘Field of cultural rights’, 10.08.2020, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/A/75/298, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN Sustainable Development Goals, SDG 15, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hsoLmY, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN, ‘Human Rights to Water and Sanitation’, ხელმისაწვდომია: https://www.unwater.org/water-facts/human-rights/, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN, ‘The Right to Water: Fact Sheet No. 35’, https://bit.ly/3llq3kN, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UN, Sustainable Development Goals, SDG 6, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hrLaAZ, ბოლო ნახვა: 27.08.2019.

UNEP, ‘Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment’ (Nairobi, June 2015) 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k4ZroU, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UNEP, ‘Indigenous peoples and the nature they protect’, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Xcx1R0, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

UNEP, ‘Responding to Climate Change’, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3A9wptJ, ბოლო ნახვა: 27.07.2021.

OHCHR, ‘Understanding Human Rights and Climate Change’ (2015) 7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CcjtnP, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

United Nations Environment Assembly of the United Nations Environment Programme, ‘Preventing and reducing air pollution to improve air quality globally’, 30.01.2018, ხელმისაწვდომია: https://undocs.org/en/UNEP/EA.3/Res.8, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

United Nations General Assembly, Analytical study on the relationship between climate change and the human right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health: Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (6 May 2016) UN Doc A/HRC/32/23, para 8, 4.

United Nations Human Rights Committee, General comment No. 36 (2018) on article 6 of the International Covenant on Civil and Political Rights, on the right to life (30 October 2018) UN Doc CCPR/C/GC/36, para 2.

United Nations Human Rights Office of the High Commissioner, ‘International Standards on the Right to Food’, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39hPlLn, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

United Nations Human Rights Office of the High Commissioner, ‘OHCHR and the right to food’, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hrEjYh, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

WHO, ‘9 out of 10 people worldwide breathe polluted air’, 2.05.2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3z7HLgs, ბოლო ნახვა: 27.08.2021.

World Commission on Environment and Development, Our Common Future (Oxford University Press 1986) para 27.

World Health Organization, ‘Quantitative risk assessment of the effects of climate change on selected causes of death, 2030s and 2050s’ (2014).